



ფინანსური ანგარიშგება

შპს ნორბი

2020 წელი 31 დეკემბერი

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წელი

შპს ნორბი	2020
გრძელვადიანი აქტივები	
შენობა-ნაგებობები	571991
არამატერიალური აქტივები	2259
ინვესტიციები	0
მიმდინარე აქტივები	
მარგები	483904
დებიტორული დავალიანება	605185
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	5843
გაცემული სესხები	
წინასწარ გადახდები	
წინასწარ გადახდილი გადასახადები	16422
ფული საბანკო ანგარიშებზე	235873
ფულის და მისი ექვივალენტები	2048
მთლიანი აქტივები	1923525
გრძელვადიანი ვალდებულებები	
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	
გრძელვადიანი სესხები	
მიმდინარე ვალდებულებები	
მოკლევადიანი სესხები	
კრედიტორული დავალიანებები	110541
ხელფასები	
გადასახდელი დივიდენდები	1429130
ვალდებულება ბიუჯეტის მიმართ	87
მთლიანი ვალდებულებები	1539758
კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	141588
გაუნაწილებელი მოგება	242179
მთლიანი კაპიტალი	383767
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	1923525

2020 წლის სრული შემოსავლების ანგარიში

	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	2218677
თვითღირებულება	-1211775
საერთო მოგება	1006902
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	0
ხელფასები	-312884
საკურსო სხვაობა	
დისტრიბუციის ხარჯები	
სხვა საოპერაციო ხარჯები	-300053
საოპერაციო მოგება	393965
საპროცენტო შემოსავალი	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	66089
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-175137
საპროცენტო ხარჯები	
მოგება/ზარალი დაზეგვრამდე	284917
მოგების გადასახადი	-42738
წმინდა მოგება	242179

2020 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2020
ფული და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	179510
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრებ	2550866
გადახდილი ხელფასები	258081
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	528279
იმპორტირებული საქონელი	904287
სხვა საოპერაციო ხარჯები	
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	860219
გადახდილი გადასახადები	518822
მიღებული პროცენტი	2662
გადახდილი დივიდენდი	180000
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობ	164059
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
კომპანიის წილის გაყიდვა	93030
შეძენილი აქტივი	63895
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობ	29135
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
კაპიტალის შემცირება	
მიღებული სესხები	283395
გადახდილი სესხები	447946
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობი	-164551
საჯურსო სხვაობა	29768
ფული და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	237920

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს ნორბის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ ინფორმაციას. შპს ნორბი არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: ქ. თბილისი, წყალსადენის ქ. #13.

შპს „ნორბის“ დამფუძნებელი პარტნიორები არიან:

01007000368, ნადეჟდა გომელაური 10%

01006018937, ნათია ჯავახი 10%

01007008502, ნინო ყოლბაია 30%

01007002214, გიორგი გაბუნია 42.5%

59701137037, ,, გიორგი ბურჭულაძე, საქართველო, რუსეთის ფედერაცია 7.5%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კვების პროდუქტებისა და ბავშთა მოვლის საშუალებებისა და აქსესუარების იმპორტი და დისტრიბუცია საქართველოს მასშტაბით. კომპანია ასევე ფლობს საცალო ვაჭრობის მაღაზიას, სადაც განთავსებულია მისი პროდუქციის სრული ასორტიმენტი.

საშუალო თანამშრომელთა რაოდენობა 2020 წლის მანძილზე იყო 12 ადამიანი.

2. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის აღნიშნული.

3. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარში) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ყოველი თვის ბოლოს თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. არაფულადი მუხლები გადაანგარიშებულია 2020 წლის ბოლოს არსებული ეროვნული ბანკის მიერ გაცხადებული გაცვლითი კურსის მიხედვით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ანგარიშგებაში ასახულია საბალანსო ღირებულებით, რაც მცირდება დარიცხული ცვეთის საშუალებით. ცვეთა დარიცხული აქვს წრფივი მეთოდით, ცვეთის 10%-იანი ნორმის გამოყენებით, ხოლო იჯარით აღებული ძირითადი საშუალების რემონტის დანახარჯების გამოქვითა ხარჯებიდან ხორციელდება ცვეთის სახით, წლიური 15 პროცენტის ნორმის დარიცხვით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე რაც აქტივი შედის გამოყენებაში. 2020 წლის მანძილზე ძირითადი საშუალებების გადაფასებას ადგილი არ ჰქონია. 2019 წელს კომპანია ფლობდა შპს ქონსტრაქშენ ლოჯისტიკის წილს, რომლის გასხვივებაც მოახდინა 2020 წლის დასაწყისში. წილის გასხვივებიდან მიღებული მოგება/ზარალი ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2020 წლის მანძილზე კომპანიამ შეიძინა მიწის ნაკვეთი, რითაც გაზარდა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი, სადაც გეგმავს კომპანია საკუთარი სასაწყობო და საოფისე შენობის აშენებას.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5. სხვა არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები (პროგრამული უზრუნველყოფა), რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, აღრიცხულია თვითღირებულებით. თუმცა წინა წლებში დარიცხული აქვს პროგრამულ უზრუნველყოფას ცვეთა.

6. იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული სასაწყობო ტერიტორია, საოფისე ფართთან ერთად და საცალო გაყიდვებისათვის განკუთვნილი მაღაზია. ორივე იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები გამოქვითულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო ხარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალოშეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და საწყობში მიტანასთან.

8. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია ძირითადად მუშაობს კონსიგნაციაზე, დებიტორული დავალიანების ამოღების საშუალო პერიოდი განსაზღვრულია 60-დან 90 დღემდე. 2020 წელს კომპანიის შეფასებით გარკვეული დებიტორული დავალიანებები საჭიროებს გადახედვას, და საექვო მოთხოვნების რეზერვის შექმნას. დებიტორულ დავალიანებაში იჯდა სასაქონლო-მატერიალური მარაგების დანაკლისი, რომლის ჩამოწერაც მოხდა 2020 წლის მოგება-ზარალში

9. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით, ხოლო ჯგუფი საწესდებო კაპიტალი კრების ოქმით. ცვლილება კომპანიის წესდებასი ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში რომელშიც იგი გამოცხადდა, დივიდენდის განაწილება ხდება ეტაპობრივად, ვალდებულებად აღიარება ყოველ წელს, საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 3 თვის მანძილზე. დივიდენდის განაწილება ხორციელდება წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად.

10. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილს აქვს ადგილი:

- 1, კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა,
- 2, ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება და კონტროლი.

დივიდენდის განაწილება

2020 წელს განისაზღვრა გაუნაწილებელი მოგების გასაცემი დივიდენდად განაწილება. რითიც გაიზარდა კომპანიის ვალდებულება პარტნიორების წინაშე.

11. მარკეტინგული ხარჯი

მარკეტინგული ხარჯი მოიცავს მყიდველებთან გაფორმებულ ქსელში წარდგენისათვის გადახდილ ხარჯებს, საპრომოციო აქციებს, რეტრო ბონუსებს და სხვა გაყიდვასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

რისკები

საკურსო სხვაობის რისკი

1. კომპანიას ზოგერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში, აქედან გამომდინარე აქვს საკურსო სხვაობების რისკი. მშობელი საწარმოს ტრანზაქციების დიდი ნაწილი არის უცხოურ ვალუტაში, რადგან საქონელი რომლის რეალიზაციასაც კომპანია ეწევა არის სრულად იმპორტირებული, და იმპორტთან დაკავშირებული ტრანზაქციები ხორციელდება აშშ

დოლარსა და ევროში. შვილობილ საწარმოს გააჩნია სესხი უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად ეს ტრანზაქციები ჯგუფს საკურსო რისკს უქმნიან.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულისა და მისი ექვივალენტების ფლობას, ასევე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს საოპერაციო ვალდებულებები.

2019 წლის ანგარიშგების ცვლილებები:

მნიშვნელოვანი ცვლილებები რაც განხორციელდა 2019 წლის ანგარიშგებაში:

გაცემულ დივიდენდს დაერიცხა გადახდის წყაროსთან დასაკავაზელი გადასახადი, რითიც შემცირდა გასანაწილებელი დივიდენდის ციფრი.

დაკორექტირდა მოკლევადიანი ვალდებულების მუხლი კრედიტორებისთვის გადახდილი თანხებით.

შეიცვალა დებიტორული დავალიანების ციფრიც, კერძოდ ჩამოიწერა გარკვეული დებიტორული დავალიანებები.

ნინო ყოლბაია

ასმათ ჭანტურია

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

მმართველი პარტნიორი

2021 წლის 30 სექტემბერი

თბილისი

